მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება №27

ქ.ახმეტა 15 ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ ახმეტის N1 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანული კრიხელის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ გიორგი ჭიბალაშვილი(ს/კ20001030673) (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია კატრიჯში ფხვნილის დამატება(CPV:50312000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართN1-ში,რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 50.00 ორმოცდაათი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. ახმეტა,ჩოლოყაშვილის ქ 56.

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით

დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- კატრიჯში ფხვნილის დამატება.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ ახმეტის №1 საჯარო სკოლის დირექტორი ან მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ ახმეტის №1 საჯარო სკოლა ს/კ 224628062 მის. : ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ56 ტელ: 0349 222943 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE223LB0121116354920000 **დირექტორი** **ნანული კრიხელი** _____ (ხელმოწერა) ბ.ა	**მიმწოდებელი:** **ი/მ გიორგი ჭიბალაშვილი** ს/კ 20001030673 მის.: ქ .თელავი ერეკლე II-ის გამზირი 7 ტ:555611633 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE83TB7018945068100001 **ი/მ გიორგი ჭიბალაშვილი** _____ (ხელმოწერა)

LEPL AKHMETA N1 PUBLIC SCHOOL

Digitally signed by LEPL AKHMETA N1 PUBLIC SCHOOL
Date: 2019.11.15 16:44:55 +04'00'

Giorgi Tchibalashvili

Подписано цифровой подписью: Giorgi Tchibalashvili
DN: cn=Giorgi Tchibalashvili, serialNumber=20001030673, o=Citizen, c=GE
Дата: 2019.11.15 16:52:32 +04'00'

დანართი N1

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება
კატრიჯი GE285A/CB435A	4	10	40
კატრიჯიCF283A	1	10	10

შემსყიდველი: სსიპ-ქალაქ ახმეტის N1 საჯარო სკოლა ს/კ224628062 დირექტორი: ნანული კრიხელი----------	მიმწოდებელი: ი/მ გიორგი ჭიბალაშვილი ს/კ20001030673 ი/მ გიორგი ჭიბალაშვილი

LEPL AKHMETA N1 PUBLIC SCHOOL

Digitally signed by LEPL AKHMETA N1 PUBLIC SCHOOL
Date: 2019.11.15 16:45:25 +04'00'

Giorgi Tchibalashvili

Подписано цифровой подписью: Giorgi Tchibalashvili
DN: cn=Giorgi Tchibalashvili, serialNumber=20001030673, o=Citizen, c=GE
Дата: 2019.11.15 16:53:14 +04'00'